გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 209

2024 წლის 13 დეკემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის ორ ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2024 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში	იანვარი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
2	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" 2024 წლის საქმიანობის ანგარიში	იანვარი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია
3	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს 2024 წლის ფინანსური ანგარიში	იანვარი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
4	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების , წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის 2024 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში .	იანვარი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია
5	გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში	თებერვალი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
6	ა(ა) იპ ,, გორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,გორი'' 2024 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში.	თებერვალი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია

7	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამების რეგულირების განყოფილების 2024 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში	თებერვალი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია
8	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, შესყიდვების განყოფილების 2024 წლის ანგარიში	თებერვალი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
9	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის ,განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს 2024 წლის საქმიანობის ანგარიში	მარტი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია
10	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების 2024 წელს შესრულ;ებული სამუშაოს ანგარიში	მარტი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია